




გარეჯის მაცნა


საბარჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №5 (283) 2023 წ. 1-15 მარტი შპსი 1 ლარი



რომან ზუბაკიშვილი

ქალი

ქალის ღოცვას შეუძლია მზე დაანთოს წმინდა სანთლად, ქალის ღიმილს შეუძლია გაზაფხული იგრძნო მართლა, ქალის მანდილს შეუძლია შეაჩეროს ბრძოლა ქართა, იყოს შენი გვირგვინი და სიამაყე წინაპართა. ქალის სიტყვას შეუძლია იყოს სწორი მაღალ მთების, ქალის მხერა სიშმაგეა, ქალის ფიქრი არის ფრთები. და თუ ნიჭიც არ ჩამქრალა ჭეშმარიტად ქალთა ქების, მაშ, სამყაროვ, მშვენიერო, უსათუოდ გადარჩები!



მარინა შანიძე

დედის საფლავთან

დავცარიელდი... რაც აღარ მყავხარ, მე კი მას შემდეგ, ბევრჯერ გინატრე, შენ იყავ ჩემი დიდი იმედი, შენ იყავ ჩემი ციხე-სიმაგრე! რა ტკბილად დამრჩი მოგონებებში, ქვეყნად როგორი ღალი მამყოფე?! დღეს მონატრების ცრემლით ვასველებ შენს სამუდამო ადგილ-სამყოფელს... კვლავ გეხუტები, მინდა შეგიგრძნო, ვიღაცა ჭიქით ღვინოსაც მაწვდის... მგონია, თითქოს საფლავის ქვასაც, შენი სხეულის სურნელი ასდის...

მარინა შანიძე

რომ არა ქალი

სულ მუდამ ერთი კითხვა მაწუხებს, რაც გაგახილვ ამ ქვეყნად თვალი, სამყარო – უფლის ძალით შექმნილი რა იქნებოდა, რომ არა ქალი? ის, დღევ და დამეც, ბრძოლის უინშია, გულანთებული მსხვერპლადაც იწვის, თუნდაც თამარი რომ არ გეყოლოდა, ვინ ააგებდა გეგუთს და ვინწვისს? ვინ შობა ცოტნე, ანდა გიორგი, გაუტყეხელი ვინ შერჩა დრო-ჟამს, ცხრა ძმას ბრძოლის წინ ომახიანად, ვინ დაულოცა ქართული დროშა? გვექონდა დარდის და მწუხრის დღეები, დამარცხებულის ჟამიც ხანდახან, ის კი იბრძოდა მუხლჩაუხრელი, მამებისა და ძმების მხარდამხარ! იბრძოდა, როგორც ტანბრგვე ვაჟკაცი, მტერს, გაშმაგებულს, შიშის ზარს გვრიდა... მერე კი... ისევ იჯდა აკვანთან და მამულისთვის გმირთა-გმირს ზრდიდა! გამოიზარდა საბა, ერეკლე, ჰეი, რამდენი გმირი გვეყოლია?! თურმე მგლის მუხლი და ვაჟკაცობა დედის მუცლიდან თან დაჰყოლიათ!... გახსოვდეთ, გწამდეთ, გიყვარდეთ მარად, წარსულის ქარცეცხლგამონატარი, ქალი – სიცოცხლის წმინდა სათავე და ერის ციხე-ბურჯი მაგარი!



რედაქციის მუშაობის ინფრასტრუქტურა-2023

სოფელი გორგიშინდა სკოლის მშენებლობა

პილავი ერთი მნიშვნელოვანი პროექტი შეემატა 2023 წლის ინფრასტრუქტურული ობიექტების ნუსხას

სოფელ გორგიშინდას მალე ახალი მრავალფუნქციური და რეკრეაციული არეალი დაამშენებს. ადგილობრივი ახალგაზრდების სურვილის გათვალისწინებით და მუნიციპალიტეტის მერის მხარდაჭერით, პროექტის განხორციელება უკვე დაიწყო.

პროექტი ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება, რომლის ღირებულება 413 073 ლარია და სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს "პარამეტრი" ახორციელებს.



სოფელი თოხლიაური სტადიონის მშენებლობა

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი ბილაშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ თოხლიაურში ახლადამშენებული სტადიონი მოინახულა.



ყანდაურის თემი საუკუნის ბზის მშენებლობა

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ ბულიაშვილი, სოფლების კვამო და ზემო ყანდაურის დამაკავშირებელი გზის მოწყობის სამუშაოების შესამე- დასკვნითი ეტაპი მოინახულა.

“ მე ამაყი ვარ, რომ ჩემი მერობის პერიოდში ასეთი მნიშვნელოვანი და მართლაც საუკუნის პროექტები ხორციელდება. რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით სხვა დანარჩენ პროექტებთან ერთად, წელს, შევქმელით და ყანდაურელებს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გადავჭკურით. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტით და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 1 973 421 ლარით ფინანსდება. სამუშაოები საცხოვრებელი სახლის მისასვლელის მოახდენას და სანიაღვრე სისტემის მოწყობას ითვალისწინებს.

აქვე აღინიშნავ, რომ პარალელურად ამ სოფელში **სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით მასშტაბური პროექტი მიმდინარეობს**. საკომუნიკაციო სისტემის მოწყობა დაწყებულია და მალე სოფელ ყანდაურას მოწყობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურასთან ერთად სასმელი წყლის საკითხიც მოუგვარდება. - **აღნიშნა ავთანდილ ბულიაშვილი.**



ქალაქ საბარეჯოში

ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, ადმინისტრაციულ ერთეულებში სპორტული სივრცეების მოწყობა გრძელდება.

ქ. საბარეჯოში, წიფლის ხევის ქუჩაზე ახალი მინი სტადიონის მშენებლობა დასრულდა. სამუშაოები რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მოწყობას, სპორტული ინვენტარით აღჭურვას, ხელოვნური საფარის დაგებას და განათების მონტაჟს ითვალისწინებდა.

საბარეჯოს მუნიციპალიტე-



ტის მერი - ავთანდილ გულიაშვილი, პირველ მოადგილესთან - ემზარ კუჭუაშვილთან ერთად ადგილობრივ ახალგაზრდებს შესვლა და მათ სურვილებსა და საჭიროებებს გაეცნო. თვითმმართველობის პირველ პირებს, აღნიშნული ინიციატივისთვის და დანაპირების შესრულებისთვის ბაზმებმა მადლობა გადაუხადეს და წარმატებული საქმიანობა უსურვეს.

ამაგლარი

ასეთ პროფესიაზე ვერც კი ფიქრობდა ლექსებად გადმოსული ფიქრები

დიდხანს იცოცხლეთ, დიდხანს მიგყვეთ ბოდეს თქვენი ლოცვა თქვენს ნამოწაფრებს და ყველა ქართველს ცხოვრების გზაზე - მადლობა.



იანს ტელეფონით დაუკავშირდა... დირექტორმაც გულთბილად მიმიღო. ასე და ამგვარად ამისრულდა ბავშვობის ოცნება – დავრჩი კვლავ ჩემი მშობლიური სკოლის კედლებში. დიას, დავრჩი 40 წელი. და დღეს, ამ გადასახედიდან სიამაყით გეტყვი, რომ მემამაეებმა საგარეჯოს II საშუალო სკოლის სახელგანთქანი პედოლოგების გვერდში 40 უღამაზესი წელი რომ გაატარეს, გვერდში ვიდეთ და მეც შემქონდა მოკრძალებული წვლილი მის მიღწევებში.

პროფესიით ზოტეპნიკოსი ვარ, მაგრამ გავიარე შესაბამისი კურსები და გოგონებს მე-5-8 კლასებში მეოჯახებობას, კულინარიას, ქსოვას, ქარგვას ვასწავლიდი. IX-XI კლასებში კი გოგონებსა და ბიჭებსაც ვინაიდან მევენახეობა იყო ჩვენი რაიონის წამყვანი დარგი – მევენახეობას.

– სკოლაში 40 წლიანი მუშაობიდან ყველაზე კარგად რომელი პერიოდი გახსენდებოდა?

– სკოლაში მუშაობის 40 წლიდან ყველა კარგად გასახსენებელია, მაგრამ ყველაზე კარგად მაინც ქნ მარო მეთადრიანის დირექტორობის ხანას ვაგონებ. მაშინ 45 ვიყავით. ეს იყო მჭიდროდ შეკრული, სახელგანთქანი მასწავლებელთა ჯგუფი, რომლის წევრობიდანაც საგარეჯოს II საშუალო სკოლა მუდამ მოწინავე რიგებში იდგა. გულისტკივილით ვისხენებ იმ პედაგოგებს, რომლებიც დღეს ამქვეყნად აღარ არიან. ცოცხლებს კი ვუსურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, წარმატებებს სკოლასა და ოჯახში.

– ცილა მასწავლებელი, ახლა რომ ახლიდან იწყებდით, პროფესიად რას აირჩევდით და რატომ?

– დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ მასწავლებლობა ერთ-ერთი ყველაზე საპატიო პროფესიაა. მასწავლებლის წმინდად მიხარია მოვალეობა, უწერავდეს აღსანიშნავებს სამშობლოს სიყვარულს, მოყვანის სიყვარულს, სიკეთის კეთებას და სხვა მნიშვნელოვან ღირებულებებს. და კიდევ ... მასწავლებლობას ავირჩევდი ჩემი მასწავლებლების სიყვარულით და პატივისცემით, რომლებმაც გამინათეს ცხოვრების გზა და სკოლის დამთავრების შემდეგაც კი იზრუნეს ჩემზე.

– გვიტახტით თქვენს შეილებაზე...

– მეავს 3 შეილი. უფროსი გია (გოტრეგი), დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი. 23 წელი მუშაობდა საგარეჯოს პროფესიულ სასწავლებელში. ამჟამად დაკავებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით. ჰყავს მეუღლე და 1 შეილი. თამარი – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, მუშაობს სოფ. ციხელური მომსახურების საგარეჯოს სერვის-ცენტრის უფროსად. ჰყავს 1 შეილი და 2 შეილიშვილი. ტარიელი – დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. 15 წელი მუშაობდა ბავშვთა საავადმყოფოს მთავარ ექიმად. დღეს კი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის თანამშრომელია. ჰყავს ორი შეილი და 2 შეილიშვილი.

– გვიტახტით, რას ნიშნავს იყო დედა, ბებია, მეუღლე, პედაგოგი და თანაც ღირსეულად ართმევდეთ თავს ამ მოვალეობებს?


– ქართველი კაცისთვის დედა არის პირველი საფიცარი. დიდი ილია ბრძანებს „დედის გული ზღვა არის სიყვარულისაო“, თუ როგორი უნდა იყოს დედა, მოვიშველიებ დიდი ილიას სიტყვებს:

„დედა, ისინი ქართველი ვეღარებო, ისე აღზარდეს შენს შვილის სული, რომ წინ წარუდგეს ქვეყნისთვის, უკან რჩეს კვალის განათლებული“.

ქალისთვის ყველაზე ბედნიერი წოდება ბებია ყოფილა. ბებია, ყველაზე მოსიყვარულე და მიმტყველებელია შეილიშვილები-სათვის. შეილებს ვერც კი ვუფერებოდა. სამაგიეროდ, შეილიშვილებისთვის დამიგრეობდა მოსაფრებელი. „ბებოს სიხარული“, „ბებოს წამალი“, „ბებოს გულის განმედლებელი“, ასე იწყებდა ჩვენი შეხვედრები. შეილებმა და შეილიშვილებმა ამაღლებინეს მთელი ქალაქი და ლექსის მსჯავსებშიც დამაწვრიეს.

მიუღონება ცოტა ძნელი საღაპარაკია, სიკვდილამდე ერთგულად, უღალატოდ

ღმერთო, მომეცი ალა იმანი შენს ახლოს მიწო მოწიში შენ და მიმეღობა, უფალო ჩემო, რომ მახატო ცოდვები ჩემი.



უნდა ზიღონ ოჯახის ტვირთი. ერთ-ერთის გარდაცვალების შემდეგაც ცალმხალად დარჩენილი გარდაცვლილის და ოჯახის ერთგული უნდა დარჩეს. მეუღლემმა უნდა შექმნან მეუღრო ოჯახი და გაზარდონ ღირსეული შვილები. პედაგოგი ნიშნავს ძვირფასი განხის მფლობელობას, რომელიც უნებაროდ უნდა გადააბარო მომავალ თაობებს ქვეყნის შემდგომი მშენებლობისათვის. ამასთან ერთად ხარ მათი სულისა და გულის მძებრავი და შენზე დამოკიდებული ამ ნაძურვის სიმკვიდრე და სიღამაზე. პედაგოგი მოსწავლისთვის მეორე მშობელი და მესაიდუმლე უნდა იყოს. პედაგოგს სიყვარული და სიბოროტი სავსე გული უნდა ჰქონდეს.

ყველაზე დიდი საჩუქარი მასწავლებლისთვის რა არის? მასწავლებლის საჩუქარზე გეტყვი: ორ ჩემს მოსწავლეს ოთხიანი ხუთიანად მიღების შანსი მივეცი. გაკეთილზე შეითხვები დაუუსვი. ორივემ ბრწყინავდეს მიპასუხა. ზარის დარეკვის შემდეგ ერთ-ერთი ჩემთან მოვიდა და მითხრა, ცილა მასწავლებელი, თქვენ ნამდვილი აღამიანი ხართ. ეს უდიდესი საჩუქარი იყო ჩემთვის. ხშირად მეფიქრება, ნეტავ, სად არის – მთქი, ნეტავ სად არიან, ჩემი ნამოწაფრები, რას აკეთებენ-მეთქი...

– ცილა მასწავლებელი, რას ეტყოფით თქვენს ყოფილ მოსწავლეებს?

– ძალიან მენატრებიან და ასე მივმართავ მათ: ვიცი, ახლა თქვენ დაღვინებული ვაუკაცვებ და დაბრძენებული ქალბატონები ხართ, მამები და პაპები ხართ, ბებიები და დედები, გვავით შეილები და შეილიშვილები. ჩემი თხოვნაა, შეაყვართ მათ საქართველო. შეაყვართ შრომა, შეაყვართ მოყვასი თვისისვისაც ჯერ კიდევ არ შეგიქმნიათ ოჯახები, არასოდესაა დაგვიანებულნი. 86 წლის ვარ და დღემდე არ შემიწყვეტია თქვენზე ფიქრი. სად ხართ, როგორ ხართ? ჩემო ონაერებო, მაგრამ ნიჭიერებო, ცხოვრება ხომ არ გაგიძნელდათ? არ შეუშინდეთ სიბნელებს, მედგრად დაუხვდით დაბრკოლებებს, გახსოვდეთ, ჩემი შეგონება, რომ არც ერთი საზოგადოებრივი სასარგებლო შრომა სათაკილო არ არის.

დაგილოცავთ ოჯახებს, შეილებს, შეილიშვილებს. მიყვარხართ ყველა და მენატრებით. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

– რას უსურვებდით ქართველ ქალებს, ბებებს?

– ოჯახს და ქვეყნის კეთილდღეობას, მშვიდობას ოჯახში და პლანეტაზე, მრავალშვილიანობას, მოთმინებით და სიყვარულით გაავრძელონ ჩვენი კარგი ტრადიციები.

– თქვენ ლექსებს წერთ, რაში გეხმარებათ ეს?

– მე ჩემს ნაწარებს ლექსებს ვერ ვუწოდებ. ნაწარების წერა დავიწყებ მერ კლასიდან. ვწერდი დედაზე, მეგობრებზე, გაზაფხულზე, სამშობლოზე. შემდეგ თავი მივანებე, სანამ შეილები არ შემიძინა. ჩემი ნაწარები შეილებსა და შეილიშვილებსაც მივუძღვენი. 10 წლის წინ მეუღლე გარდაემეცვალა. ძალიან განვიცაღე. ნაწარითაც ვესაუბრე. ხანდახან მეწვევა ხოლმე ჩემი გადამჩენელი, ჩემი ღარიბი მუშა. ძალიან მიყვარს წიგნის კითხვა, მით უმეტეს ახლა, როცა ინვალიდობის გამო, ფიზიკურ შრომას შევეშვი, რომ იტყვიან ერთიანად ამოვიყარე წიგნების „ჯავრი“.

– კიდევ ერთხელ გილოცავთ გაზაფხულის მობრძანებას და დაბადების დღეს,

იცოცხლე დედაც
რაც კი კარგი და ღამაზი არის, ყველა მახსენებს საყვარელ დედას: დედა-სამშობლო, დედა-ბუნება, დედა მიწა, ბურჯია დედა. ილიას დედაც, აკაკის დედაც, დემეტრეს დედაც, დედუბო გმირთა! რუსთაშვილის დედაც, თამარის დედაც! და სააკაძის დედაც წმინდაც! კვლავ გაგვიზარდე ბევრი პაატა, ბევრი გიორგი გულანთებელი, რადგან ყოველთვის სტირდება მამულს გმირი ქვეყნისთვის თავდადებული! ამდერებულან მთანი ვაჟისა, მათი ხმა აღწევს მაღლა ღმერთამდე. ზვარი ეპახის მოუღლე მეზერეს მინდვის ხომადლი ელის მესაჭეს. დღეს უფრო მეტად, დღეს უფრო მეტად, გემართებს სიმარჯვე და შემართება, რომ დაიშალოს შავი დრუმლები ჩემი სამშობლოს გადასარჩენად, იცოცხლე დედაც, იყავ დღეგრძელი!

გაზაფხულის დღეა
რეირაჟი შემოპარულა, ისმის ბუღბულის სტევნა, ფოთლები წურწულს იწყებენ, მერცხალი ცაში ფრენას. ვუცქერი გარეჯის მინდვრებს, აღმას და ზურმუხტ ფერებს, ზემოთ აქორილ ტყეებს, ქვემოთ დაცემულ ველებს. ვისმენ ბატკნების ბღვილს, ქონორა კრუხის კრიახს. ტყემლის ქათქათა ყვავილი გაუფანტია ნიავს. და ამ სიხარულს უღევეს მზის სხივებით გაშლილს ტიტინი ემატება, მეზობლის ციციკა ბავშვის. არ მოიქუფროს ოღონდ ჩემი სამშობლოს ზეცა, და როგორც ნამი მზის სხივს ზედ შევასრები მეცა.

ფიქრები
ფიქრები ჩემი, ტიღილი ზღვის ტალღებს დამსხავსებიან, ეხეთქებიან ნაპირებს, დედავენ, არ მშვიდდებიან. ღორბლებსა ჰყრიან ბრაზისგან ერთმანეთს ერკინებიან, შთაინთქმებიან ზღვის ფსკერზე, არადა არა ცხრებიან. გადაუღელია ერთმანეთს, კვლავ ვესზე წამოდებებიან, არცა მზეს ეფიცებიან, არც ქარბუქს უშინდებიან. ნეტავი გამაგებინა, თავს რად არ დამანებებენ? მგონი არ დამსვიდებებიან, სანამ არ გამსხვევებიან.

სამშობლოს მიწა
ვიყავ ოჯახის მუდამ ერთგული, თუმცა კი ბედმა ბევრჯერ მაწამა, ბევრჯერ შემასვა შარბათი ტკიბილი, ბევრჯერ კი მზაშით სავსე მათარა. დავბერდი... მაინც სულ მენატრება დედის ღმინი და მოფერება, ნუთუ წარსულის ყველა ფურცელი იყო სიხმარი და მინვენება? აღარც იგი მეავს, ვისც მჯეროდა, ვისაც ვუყვარდი და ვინც მიყვარდა, ჩემთვის ამინდი აღარ მზიანობს, უკვე დაბნელდა და დამიღამდა. ჩემი სამშობლოს მიწადა დამრჩა, უკანასკნელად ვინც შემეყვარებს, კარებს გამიღებს, მომეფერება, გულში ჩამიკრავს და შემეფარებს.

უკვე ოთხმოც წელს გადავბიჯე, ოთხმოცჯერ ვნახე ზამთარ-ზაფხული, ბევრჯერ ოცნებით ცაში ვფრინავდი, ბევრჯერ მიწაზე ვიყავ გართხმული. სიხარულის დღეც მქონია ზოგჯერ, მომნატრებია ზოგჯერ სიკვდილიც, ჩემს ახლობელთა საფლავის კართან ბევრჯერ ვიდეთ მე ფერმიხდილი. და რადგან მხოლოდ უფლის ნებაა, ამ ქვეყნად ჩვენი ყოფნა-არყოფნა, მეც უფლის ნებას დავმორჩილდები, მაინც მომიწყვს მისთვის მზად ყოფნა.

ვალმოხდილი და უვალთან პირნათელი



მშვენი ლენა ექიმი, ჩვენი მალამო და ჩვენი საღებუნო ბოლომდე გაიხარჯა, ბოლომდე დაიხარჯა თანაქლაქელების ჯანმრთელობის სადარჯოზე მეფე - მუღამ მზრუნველი, მუღამ დაუზარელი, მუღამ მოსიყვარული. როგორ მიკვირდა, ამ პიროვნებაში სად იყო ამდენი სითბო, სიყვარული, ძალა, ენერჯია, ერთგულება, როგორ ანაწილებდა ღრს, თავისთვის რას იტოვებდა?!

ადამიანების ჯანმრთელობის სადარჯოზე თუ ვინმე ასე მისხალ-მისხალ, ბოლომდე გაიხარჯა, როგორ გითხრათ, ვერც გეტყვი, რამდენი მადლიერის ზღვა ცრემლი გაიყოლა სასუფეველში, რამდენის იმედი და სულის მალამო იყო. ეჭვიც არაა, ლენა ექიმი თავისი ცხოვრების წესით პირნათლად წარსდგა უფლის წინაშე...



ქეთი გულადაშვილის დედა - ლიდა კოჭლამაზაშვილი

შვილმკვდარი დედა

სანამ შვილის სიკვდილს დედა ყურით გაიგებდეს, მანამდე გული გრძობს - შვილს რაღაც უჭირს... უჭერს ყელში - ნერწყვს ვერ ყლაპავს, სუნთქვა ეკვრის, ფილტვები არც იკუმშება და არც იხსნება,



ასეთები უყვარს უფალს! ნათელში იყოს ჩვენი ერთგული ექიმის, ქნი ლენა ანუ მშვენილის სული, იმიერ საქართველოში ვულოცავთ გაზაფხულის ღამას დღესასწაულებს.

მეორედ დაღვა მარტის დღესასწაულები უმისოდ... განსაკუთრებით უყვარდა გაზაფხულის მოსვლა, თავადაც ხომ გაზაფხულივით დაბრძანდებოდა, ყველგან და ყველასთვის სითბო, სიყვარული და არნახული მზრუნველობა მოჰქონდა.

ხშირად ვიხსენებ, როგორ უყვარდა ყველაზე - ფერად-ფერადი, ფუსფუსით კრეფდა და ლარნაკში იწყობდა, მათი სილამაზით და სურნელით რომ დამტკბარიყო.

მოსიარულე სიკეთედ იქცა ბებიანემი... იშვიათად მსმენია ასეთ ადამიანზე, იშვიათად მინახავს ვეებერთელა სიყვარულის მატარებელი... სხვაგან არსად გადავივარდის მისგან ღიმილიან სახესა და თვალებს - ცისფრად გაციხროვნებულს, ხანდახან თუ ცრემლით ავესებოდა და ისე შეიმშრალვდა, არავის შეგვემჩინა... და ხმავე როგორი ჰქონდა - გამორჩეულად რბილი, დვითვასთან, ხვედროვანი, მართლა რომ საღებუნად დაგვედებოდა ადამიანის სულსა და გულზე, ნამდვილად რომ განგკურნავდა ყოველგვარი სნეულებისაგან და სიცოცხლის წყურვილით აგავსებდა...

სიმშვიდე როგორ მხიბლავდა მისი - შესაშური და სანაქებო, ჩინებულად რომ მოძებნიდა ხოლმე გამოსავალს ნებისმიერი სირთულის მდგომარეობიდან.

სიზარმავე არ გამაჯონოლო და თუ ბებო გიყვარს, რასაც დღეს შეძლებ, ხვალისთვის ნუ გადადებო, სიყვარულით აკეთე საქმე და ყველაფერი თავად გამოგივაო... მცნებებად დაგვიტოვა გარშემომყოფებს სათქმელი...

რამდენს მოვეყვებით განა დღეს. ის ხომ ამოუწურავი და უკიდევანოდ დიდსულოვანი იყო...

სასიამოვნოდ დაქანცული წავიდა ამქვეყნიდან ბებიანემი, სულ სადღაც ექარებოდა, ვიღაც სულ „ლენა ექიმოს“ უხმობდა. საკუთარი თვალთ მინახავს, ფეხით როგორ წასულა მიძიე სენით შეპყრობილ ადამიანთა დასაიმედებლად და ტკივილთა შესამსუბუქებლად. განა, მართლა არ იღვებოდა?! უბრალოდ, არავის გვაჩვენებდა, რომ მასაც ეწადა მოფერება, ხანდახან მინიც. იქნებ კიდევ სტეილია და ბუფრით უჭირდა, მაგრამ ღრმა მოსუცებულებამდე არავინ შეუწუხებია, ბოლომდე ემსახურა დიდსა თუ პატარას თავის პროფესიაზე უსახლვროდ შეყვარებული და ისე გავიდა წუთისოფლიდან ერთგულებითა და უანგარობით შემკული, ბებიანემი - ყველას ნუგეში.

მანა შაქარაშვილი, შვილიშვილი

დედის ცრემლებით დანამული ლექსები

თამარ მეგუთნიშვილი 30 წელი ემსახურა საგარეჯოს III საჯარო სკოლის დაწყებითი განათლების საფეხურის აღზრდილებს. 30 წელი ეყვრა და ესიყვარულა სკოლის კვლევებში დაფრთხილებულს. აქვე გაიხარდნენ მისი შვილები გიორგი და რუსკა პაპუნაშვილები. ხარობდა თამარ მასწავლებლის გული თავისი მოსწავლეების წარმატებებითა და რუსკას პატარა შვილებით.

მაგრამ ... ბეერი იბრძოლა დედამ თურქეთის კლინიკაში, უშედეგოდ... გიორგი უკურნებელი სენით 2018 წლის გაზაფხულამდე იმიერ სამყაროს შეუერთდა. ლექსებად მოედინება დღეს შვილის მონატრება. დღეს თამარი თელავში ცხოვრობს შვილთან - რუსკასთან ერთად. მადლობა ქნ თამარს საგარეჯოელი თაობების აღზრდისათვის.

რექვიემი.

ჩემი ხელით მოგაყარე მიწა, ჩემი ხელით დაგიხუჭე თვალი, მიკვირს, როგორ მოვერე თავს და ვერ გავბედე, რომ მომეკლა თავი. -გაგიყდო...ჩურჩულებდნენ თურმე, -რას აკეთებ? -გადავიდა ჰკუიდან? არ მინდოდა სხვას რგებოდა წილად, შენი ბოლო შეხება და ხილვა. შენი სახე დაცვარული ნამით, მარმარილოს გაცრეცილ ღოდს გავდა, დაგცქეროდი, არ ვუშვებდი წამით, სხვა ვინმეც რომ შეგხებოდა ნახად. ტკივილისგან ბრძოლით განაწამებს, სიმწრით, ტუნზე ნაკბენი რომ გაჩნდა, თვალმა, მხერვა ვერ უსწორა შვილო, გულში შენი, სხივის სიმი ჩამწყდა. სუდარაც, რომ წავაყარე დედი, საბოლოოდ ბრძოლა მაშინ დავთმეთ, გაგიფინე ოცნებები გულზე, ფრთამოტეხილ იმედებით სავე. ვაი დედას, შვილკვდარს, უარყოფლის, რა ყოფა აქ, რა ცხოვრება ელის? მოლოდინი დაუკეტავს კარებს, იფარვატებს მოტეხილი ფრთებით. უფლის ნებას ჩვენ ვერავენ შეცვლით!!!



* * *

შენი ჩახუტება გულში, ძლივს გავათენე დღეს და ვეღარ დავადამე გუშინ. შენი თვალების ფერი, შენი გაღიმილა ერთი, რომ წავიყვანა ჩემგან, ნეტავ რას ფიქრობდა ღმერთი? მინდა მიდიმოდე ისევე, გეხუტებოდე თბილად,

მარადისობაში გადასული ქიმი

მზიკი იშვიათად იბადებიან, აღბათ ამაშიც არის კანონზომიერება... მათ რაღაც საერთო ყოველთვის აქვთ. აღბათ ეს სინათლის ან მზის სხივია, რაც ყოველთვის თან სდევთ, თუ გნებავთ გასხვიოსნება, რაც მხოლოდ წმინდანათვის ღმერთისმიერი საჩუქარია...

ქეთი გულადაშვილი, ჩემი უმცროსი კოლეგა, 2-ჯერ ვნახე და პირველი შთაბეჭდილება სწორედ ის მზის ნათელი გახლდათ, რაც თავისი ღამაში ღიმილით და ბრიალა თვალებით შემომავება. ასე დარჩა ჩემს მეხსიერებაში ახალგაზრდა მკურნალი, ახლა ცის შორეული ამორალი, გმირი ქიმი ქეთევან გულადაშვილი. ვინც საკუთარი სიცოცხლისთვის ყველაზე სახიფათო -მაშველი ქიმი პროფესია აირჩია... ვინც სხვისი სიცოცხლის გადარჩენისთვის პროფესიული მოვალეობის შესრულებისას „ზაფხულის კრიალა ცას უშურველად მიაბარა სათუთი სული.

დღეს გმირი ქიმი დედა, ქალბატონი ლიდა გულადაშვილი ჩვენი კლინიკიდან ეწერება. საოცარი ქალბატონი თავისი ღირსებებით: მღუმარებაში ძლივს ჩატყული უმძიმესი ტკივილით, ცისკენ მზირად თვალთა ცრემლით და მოლოდინის გამართლების იმედით, რომ სადღაც, როდისღაც შეხვდება თავის ნაფერებ, ქარიშხალა გოგოს.

ღმერთმა ნათელი მოჰფინოს აქაც ნათელით გასხვიოსნებული გმირი ქეთი გულადაშვილის სულს... ჩვენ კი უნდა ვიცოდეთ, რომ აქ ჩვენთან, „კაკაბეთში“ ცხოვრობს ძირძველი, ფესვმაგარი გულადაშვილების ღირსეული ოჯახი, სადაც გმირები იბადებიან...

ლეილა ოტიკაშვილი,

შს „ჯეოქოსპიტალის“ საგარეჯოს მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის თერაპიული მიმართულების ხელმძღვანელი

ისევე მიყვებოდე ამბებს, შენ რომ მიყვებოდი ტკბილად. ვეღარ დაგინახავ ვიცო, ვეღარ დაგიკოცნი თვალებს, ვერც შენი შემიკონავე იებს, ვერც მე დავიოკებ დარდებს, მოგონებებთან ერთად გავათევ, მრავალ დამეს, ტაბარს მივაშურებ კვლავ და, აგინთებ წმინდა სანთლებს.

* * *

დე, დღეს მომიტან იებს, კრძალვით მომიხდი ბოდიშს, რომ ვეღარ მოხვედ ჩემთან, ვეღარ გამაძლე კოცნით, ვერ მომიხვიე ყელზე და ჩამიხუტე გულში, როული გზა გქონდა ძლიერ, ვერ მოხვიდოდი გუშინ. დამეკიდები ყელზე ჩვენ რომ ვიცოდით ისე, თვალებს ჩაუკრავთ ერთურთს, წამით გაფანტავთ ნისლებს. დეე-დედიკო, დედაა, მომიფერები ისევე... თვალს ცრემლი დაგინამავს,



შენ გაიღიმებ მყისვე... იებით ხელში მოხვალ... გადამიდარებ დარდის... დე...მიყვარხარ... მეტყვი... დე გილოცავ 8 მარტს.

3 მარტი - სიკეთის ისტორიების მორიბი გაბრძობა...

დღის დღესთან დაკავშირებით, **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა, ანთონიო ბუ-ლიპაშვილი** სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან დედაებს საყოფაცხოვრებო ტექნიკა და თაიგულები გადასცა. მოადგილესთან, გიორგი ლალიაშვილთან ერთად სოფელ ბადიაურში მცხოვრებ, ოთხი შვილის დედას, ნანული ჩოქურს პირადად ესტუმრა, დედის დღე მიულოცა მხნეობა და ჯანმრთელობა უსურვა.

„მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტში პროგრამულად, ყოველწლიურად გათვალისწინებულია გარკვეული კატეგორიისთვის საყოფაცხოვრებო აუცილებელი ტექნიკის შექენა.

საჭირო ტექნიკა სოციალურად დაუცველ, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მრავალშვილიან კიდევ 2 ოჯახს გადაეცემა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მიმდინარე წლის მანძილზე არაერთი აქტივობა დაგეგმილია. - აღნიშნა ავთანდილ გულიაშვილმა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული სოციალურად დაუცველი, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის საყოფაცხოვრებო აუცილებელი ტექნიკის შექენა ეტაპობრივად კვლავ განხორციელდება.



ბებია-მებობარი

მიშბაო ჭიაბერაშვილი ერთი ჩვეულებრივი ბიჭია, გიორგიშვილის საჯარო სკოლის მეთორმეტკლასელი და საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სული და გული. რადიკალირად თბილი, კონტაქტური, ინტერესიანი, მიზანმიმართული. ვინ იცის, მისმა ოჯახმა რამდენჯერ იხეიმა მიშკოს წარმატებები სკოლასა და სკოლის გარეთ. სოციალურ ქსელში და ბეებისგან ისეთი მხარდაჭერა აქვს ხოლმე, აი, მშაკაცებს რომ აქვთ.



მართლაც, რომ მაგარი „მშაკაცები“ არიან. თუ არ გჯერათ, მოუხმინეთ მიშკოს...

სიტყვა ბებია ჩემთვის ასოცირდება იმ დაუსრულებელ სიყვარულთან, რომელიც მე და ჩემს ბებოს გვაკავშირებს. ბებიანები **ლიანა მნაბეილი** განათლებით ბულალტერია. მუშაობს საგარეჯოს ელექტროსკელში ბავშვობა ძალიან კარგად მახსოვს, კერძოდ, ბებო როცა ადვილად მა-



შინ 5 წლის ვიყავი, ბებოც უფრო ღამაზად გამოიყურებოდა, უფრო ახალგაზრდა იყო. ჩემი აზრით, თავისი სიღამაზით ყველას ჩრდილავდა. მე და ბებოს ისტორია უკვე 12 წელია იქნება. მის გვერდით მეძინა, როცა პატარა ვიყავი - მინდა აქვე ერთი ისტორია გავიხსენო, რომელიც არასდროს დამავიწყდება. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შესახებ, რომ ძველი საავადმყოფოა, იქ ვიწვექი არ მახსოვს, რატომ ვიწვექი, მაგრამ იცით რა მახსოვს?? შავი ბოლოკაბით, ჭადრა თმით, მომწვანო ზედაით ჩემს გვერდით, როგორ ათენებდა დამეს ეს უბრალო ადამიანი და დამტრიალებდა იმ იმედით, რომ ძალიან კარგად ვიქნებოდი. მისი ნაყიდი ფლომასტერებიც დღემდე მახსოვს. ჩემს გაზრდაში ლომის წვლილი მიუძღვის ამ ქალბატონს ასეთი კარგი, რომ გავიზარდე. წლების შემდეგ, როცა „ტეინი მომეცა“ და ჩამოვყალიბდი, უფრო დავაახლოვდი და ჩვენ შორის არანაირი ბარიერი არსებობდა. მისი თითოეული კერძს ყოველთვის გემრიელად შევქცევიდი ხოლმე... განსაკუთრებით მისი გაკეთებული ცხელი ყავა და შემწვარი კარტოფილი... ლიაზე დაუსრულებლად შემიძლია საუბარი, მაგრამ მისი დარიგებებიდან გამოვარჩევ რამოდენიმეს: 1) იბრძოლე შენი მიზნებისთვის, თორემ ეს ცხოვრება არ დაგინდობს. 2) არავის დასცილო არასდროს ჩაცმულობაზე, გარეგნობაზე, ან მის წარმომავლობაზე.

წელს აბიტურიენტი გავხდი როგორც მოგესხენებათ და პროფესიის გადაწყვეტაში მონაწილეობა არ მიიღო, უბრალოდ მითხრა, მინდა - ჟურნალისტიკა არ გინდა, არ ღირს ამ ქვეყანაში ჟურნალისტიკა არ გამოგადგება. უფრო დიდ ამბებს უნდა ველოდო შენგანო... მთელი ბავშვობა, როცა ფული მქონდა, არასდროს ვტოვებდი უსანუქროდ, მათ შორის გამორჩეულად მახსენდება ღვთისმშობლის ხატი, რომელიც თავის ოთახში დავკიდა, სულ აპრიალებს დღემდე. მოკლედ ვცადე ჩამეტია ჩემი ის გრძნობა, რაც მე და (ლიანას) ლიას ანუ გვაკავშირებს. ამ ქალმა მე და ჩემი ძმის გამო თავი გადადო და თუ წარმატებას მივაღწევ, სწორედ ამის დამსახურება იქნება. დღემდე მწარედ მახსენდება ცივი ზამთარი. ძალიან თოვდა და მაშინ საგარეჯოს სკოლაში დავდიოდი. ლიას სახლი კი შორს არის სკოლიდან. არასდროს დამავიწყდება სკოლაში აყვანილი, როგორ გადაამიყვანა იმ ქარბუქში სკოლაში, ხელები ისეთი წითელი ჰქონდა დღემდე ჩემი თვალიდან არ ამოდის... დაუსრულებელია ამ ადამიანზე საუბარი, ის არის სიძლიერის ეტალონი! აუღლებელი ციხე-სიმაგრე, რომელიც დღემდე მხარს მიმაგრებს! ბევრჯერ დავცემულვარ, ბევრჯერ მიტრია, მაგრამ ყოველთვის მისი დახმარებით ვგხვდები წამოდგენი. მე დემეტოს ვთხოვ ჩემი ბებო ისეთ დროს არ გამომეცალოს ხელიდან, როცა ყველაზე მეტად მჭირდება, როცა ჩემს წარმატებებს უნდა მოელოდეს. ყველა საგარეჯოელს და ჩემს თანატოლს გეტყვი!! დააფასეთ ბებოები, შეიყვარეთ და პატივი ეცით! ხვალე-ხვალეზე იცოვო გზა, რომ არ გავიაროთ ლიას თამბაქოთი ყველა ბებიას ვუსურვებთ მხნეობას, ჯანმრთელობას და თავიანთი შვილებისთვის და შვილიშვილებისთვის სასიკეთოდ ყოფნას. დღევანდელ დღეს გილოცავთ! ეს დღე თქვენია.

ლექსები

„ვიძრს სიმშვილე უყვარს“

ლია ქურხული-კუჭუაშვილი

ლია ქურხული-კუჭუაშვილი საგარეჯოელია, პროფესიით ექიმი, ფარმაცევტის გახამებული ხალათით ემსახურება საგარეჯოელებს. ლიას ლექსები სოციალური ქსელის საშუალებით გაიცინო პოეზიის მოყვარულებმა და ინტერესი ახალი ლექსის გამოჩენის მიმართ თანდათან იზრდება. გვინდა ვითხრათ, რომ მის ლექსებს თურმე ჩვენ არ გვითხვლობთ პირველები. მისი ყოველი ლექსის მკითხველი და შემფასებელი მისი შეილებაა - უღამაზესი სალომე და უჭკვიანესი - ფარნაოზ კუჭუაშვილები.



დღეს ლია ჩვენი გაზუთის მკითხველთა სტუმარია თავისი თბილი ლექსებით და ასევე, თბილი, ტკბილი დალოცვით, როგორც ლიამ საუბარში გვითხრა:

- პირველი ლექსი გაზაფხულზე დავწერე, როცა დედას ყოწივარდების ბლუჯა მივუტანე ტყიდან, მისმა ბედნიერებით გაბრწყინებულმა თვალებმა დამაწერინა ლექსი. მერე თავისთავად მოდიოდა და ლაგდებოდა რითმები. წინასწარ არასოდეს ვიცი, როდის ან სად დავწერ. ფიქრს სიმშვიდე უყვარს.

ჩემი მეგობრები კარგი მსმენელები (და არა მარტო) აღმოჩნდნენ, შესაბამისად ლექსის პირველი გამზიარებლებიც ისინი იყვნენ. დღეს ჩემს შეილებს ვუკითხავ. მათი აზრი ძალიან მნიშვნელოვანია.

იმის მიუხედავად, რომ ამჟამად სხვა საქმით ვარ დაკავებული, ეს სულაც არ მიშლის ხელს წერაში.

კიდევ ერთი გაზაფხულის შემობრძანებას და დედის დღეს გილოცავთ, ჩემი ძვირფასო ქალბატონებო! ბედნიერი დედეები და ქალები გამოყოფთ დემეტოს!

დასასრული მ-7 გვერდზე

მადლობა



საბარძოს მუნიციპალიტეტის მერია ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით გამოირჩევა საგარეჯოელი ახალგაზრდების მიმართ, აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მერის- ბატონი ავთანდილ გულიაშვილის მხარდაჭერით წელს მუნიციპალიტეტში განსაკუთრებულად ბევრი ღონისძიება ჩატარდა, რაც არ ყოფილა გასულ წლებში, ჩემი და საგარეჯოელი ახალგაზრდების სახელით მადლობას ვუხდით მას, ასეთი ღონისძიებები გარკვეულ წახალისებას წარმოადგენს ჩვენი

შრომის და სწავლისთვის. გამონაკლისი არც წარჩინებული მოსწავლეების მედლებით დაჯილდოვება იყო, რომელიც შესანიშნავ და სიმბოლურ გარემოში ჩატარდა.

ს(ო)შ(ო) ქსაიანაშვილი,

საქართველოს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი

საჯარო სკოლა 2021 წელს წარჩინებით დაეამთავრე, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე შეფერხდა მედალოსანთა დაჯილდოვება.

ეროვნული გამოცდებით წარმატებით ჩავაბარე და მოვხვდი თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც საკმაოდ საინტერესო პროფესია აღმოჩნდა, ვიდრე წარმომეგინა სწავლის დაწყებამდე, ამავდროულად, რთულია სასწავლო თვალსაზრისით. ცხოვრებისეულ მოვლენებს ახლა უკვე, ჯერ კიდევ სტუდენტი, ფსიქოლოგიური თვალთ ვუყურებ და ვმსჯელობ.

წარჩინებულ ბავშვებს სკოლიდან რომ დაგვირგვინ და მედლების გადმოცემის შესახებ შეგვატყობინეს, მეც და ჩემს მეგობრებსაც ძალიან გაგვიხარდა და ბუნებრივია გაგვიახლდა სასკოლო ემოციები, პირველიდან - მეთორმეტე კლასის ჩათვლით განვლილი წლები.

მადლობა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას, საგანმანათლებლო რესურსცენტრს და ყველა იმ პირს, ვინც ამ დღის მოწივებისთვის იზრუნა.



ნატა ქაიხურაშვილი,

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი

ხალხური უამრავობა

შხვედრა ფოლკლორული ფესტივალის ღაშკრაბათთან

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის, ავთანდილ გულიკაშვილის მხარდაჭერით, ქართული ფოლკლორის, როგორც ეროვნული იდენტობის საცავის და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით, საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, 2022 წლის საქართველოს ფოლკლორული ფესტივალის ღაშკრაბათთან: შალვა ოკინაშვილთან (ავტორ- მიქმელი) და ქალბატონ ლეილა არნემაშვილთან (ზეპირსიტყვიერების შემკრები) საზიემო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მიზანი ხალხური შემოქმედების კუთხით თვალსაწიერის გახსნა და ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების შენარჩუნება-გაცნობა იყო. ღონისძიებას ბიბლიოთეკის მეგობართა საბჭოს ხელმძღვანელი ლია ქურხული უძღვებოდა. ბიბლიოთეკის დარბაზში მხატვარ - თამარ იორამაშვილის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. ასევე, ემიგრანტი ქალბატონის თვა ქურხულის მიერ წარმოდგენილი იყო ხალხური რეწვის ნიმუშები.

ფოლკლორული ფესტივალის ღაშკრაბათი მსმენელების წინაშე თავიანთი შემოქმედებით წარსდგნენ. მუნიციპალიტეტის მერმა- ავთანდილ გულიკაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ - ალექსი გილაშვილმა პოეტებს სიტყვით მიმართა და მადლობა გადაუხადეს მიღწეული წარმატებისა და ღირსეული ჯილდოსთვის. როგორც საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორმა- ბესიკ ღვინაშვილმა აღნიშნა, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მიერ ფოლკლორული ფესტივალის ღაშკრაბათს „ქართული კულტურის ამგდარის წოდება“ მიენიჭა. სტუმრებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცა. ღონისძიება საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის მკითხველთა მომსახურების დარბაზის სპეციალისტის თინა კობაურის და ბიბლიოთეკის ორგანიზებით გაიმართა.



მილოცვა

მირიან და გიორგი მღვდირაშვილებს

10 წელი შესრულდა, რაც განგებამ სასწაული მოგვივლინა და მამის დაბადების დღეზე ახლა საწუკარი ოცნება – დაიბადა ჩვენი სიხარული – **პატარა გიორგი ჩვენო კვირფასავო!**

გილოცავთ იუბილეს და გისურვებთ კვლავ მრავალი ათეული წელი დაგბედვოდეთ ჯანმრთელოდ და ბედნიერად. გვარაუდეთ უფალი!

ღედა და ბებო
მზია ღარბაიძე



პედაგოგის საქმიანობა განსაკუთრებული პირობებშია

ძალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან **ღელა ფანოზიშვილთან** ერთად მთის ზონაში მცხოვრები და მოღვაწე 80 წელს გადაცილის რკინაული და უხუცესი ექიმი - ნათელა სეკარცოვა პროფესიულ საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის მადლობის სიგელით დააჯილდოვა, 8 მარტის დღესასწაული მიულოცა და თაიგულები გადასცა.

„თქვენი როლი განუზომელია, გულწრფელი მადლიერება მინდა გამოვხატო თქვენს მიმართ, პედაგოგის საქმიანობა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, ამიტომ, თქვენი როლიც განსაკუთრებულია ქვეყნისა და მომავლის განვითარებაში.“

კიდევ უფრო დასაფასებელია რთულ კლიმატურ პირობებში მოღვაწე პედაგოგების ღვაწლი, რომლებიც არ უშინდებიტ ამინდს, სიშორეს, გარემოებას და პასუხისმგებლობით ეკიდებიტ თქვენს საქმეს.

გილოცავთ, ჯანმრთელობა და მხნეობა მინდა გისურვოთ, ქვეს ვიხრი თქვენს მიერ განვლილი შემოქმედებითი წლების წინაშე“, - **აღნიშნა ავთანდილ გულიკაშვილმა.**



რედაქტორი:
თინათინ ილაური



„გარეჯის მაცნე“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდ-
ენბ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრეს“-ში. ტელეფონი: 599
851 143

ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com
gareji2011@mail.ru